პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 76 (10773)
შაბათი
30
მარტი
1957 წ.

ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა, განიხილა რა საკითხი „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, დაავალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებანი მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის გარდაქმნისათვის და, ამ საკითხის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო, შეიტანონ იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

ამ დავალების შესაბამისად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის საკითხი შეაქვთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სესიაზე. ამ საკითხზე მომხსენებლად დამტკიცებულია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მუშაობას მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის სრულყოფისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტეს პრესაში გამოაქვეყნონ მოხსენების თეზისები და მოაწყონ ამ საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვა, რათა აზრთა ფართო გაზიარების, ჩვენში არსებული გამოცდილების ყოველმხრივი გათვალისწინების საფუძველზე შემუშავებულ იქნას ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მართვის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმები. თეზისებში ჩამოყალიბებულია ძირითადი დებულებანი იმ მიმართულების შესახებ, რომლითაც უნდა განხორციელდეს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა. თეზისები არ ისახავენ ამოცანას დასრულებული სახით მოგვცენ რეკომენდაციები ყველა კონკრეტულ საკითხზე, რომლებიც დაკავშირებულია მეურნეობის მართვის ახალ სტრუქტურასთან ცენტრში და ადგილებზე. საყოველთაო-სახალხო განხილვა საშუალებას მოგვცემს გამოვნახოთ თანამედროვე პირობებში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ყველაზე სრულყოფილი ორგანიზაციული ფორმები.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომები, მოიწყობენ რა თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვას, მოვალენი არიან, დროის დაუკარგავად, შეიმუშაონ მართვის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებანი, მოამზადონ კონკრეტული წინადადებანი სახალხო მეურნეობის საბჭოების სტრუქტურის შესახებ. საჭიროა აგრეთვე მოფიქრებულ იქნას საკითხი კადრების სწორი განაწილების შესახებ, რათა სახალხო მეურნეობის საბჭოებსა და საგეგმო ორგანოებში ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულ იქნან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და წარმოების გამოცდილი ორგანიზატორები, რომლებსაც უნარი შესწევთ წარმატებით გაართვან თავი სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელობას.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის განხორციელების შედეგად განთავისუფლდება ბევრი ადამიანი, რომლებიც ამჟამად სამინისტროებსა და უწყებებში მუშაობენ. მეტწილად ესენი არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები — ინჟინრები, ტექნიკოსები, ეკონომისტები, მოსამსახურეები. საჭიროა უურადღებით მოვეპყროთ მათ და გამოვიჩინოთ ზრუნვა იმისათვის, რომ სამუშაოზე მოვაწყოთ უწყებრივი აპარატებიდან განთავისუფლებული მუშაკები მათი კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისად. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ეს ამხანაგები სწორად გაიგებენ ღონისძიებებს, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ, და დაუბრუნდებიან ცოცხალ ორგანიზატორულ საქმიანობას წარმოებაში, სადაც უშუალოდ იქმნება მატერიალური ფასეულობანი. ისინი კიდევ უფრო მეტი პროდუქტიულობით განაგრძობენ თავიანთ შრომითს საქმიანობას ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მოაწყონ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის საკითხის განხილვა საწარმოებში, მშენებლობებზე, სამეცნიერო ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე, ამასთან უზრუნველყონ მშრომელთა უაღრესად ფართო მასების აქტიური მონაწილეობა ამ საკითხის განხილვაში. რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეში.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებიდან თეზისები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდი გეგმები. ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე მიღწეულ იქნას საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება. საბჭოთა ქვეყანას ახლა აქვს ყველა საჭირო პირობა იმისათვის, რომ მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზით ისტორიულად უმოკლეს ვადებში გადაწყვიტოს სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ამჟამად საბჭოთა კავშირს აქვს მძლავრი და ყოველმხრივ განვითარებული, მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი სოციალისტური მრეწველობა, მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე ოდესმე, მატერიალური რესურსები, აგრეთვე ჰყავს მუშათა და სპეციალისტთა კვალიფიციური კადრები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განვითარების ახლანდელი დონის დროს განსაკუთრებული როლი ენიჭება სამეურნეო ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სრულყოფის საკითხებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, რომლებიც გაიმართა 1956 წლის დეკემბერში და 1957 წლის თებერვალში, შეჯამებულ იქნა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების პირველი შედეგები და დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი ახალ წარმატებათა მისაღწევად სოციალისტურ მშენებლობაში. 1956 წლის, მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის, შედეგები ცხადყოფენ, რომ საბჭოთა ქვეყანა მტკიცედ მიდის წინ, ავითარებს რა სახალხო მეურნეობას მაღალი ტემპებით. სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესები, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა აღნიშნა, მოითხოვს გაუმჯობესდეს მართვის ორგანიზაციული ფორმები მრეწველობისა და მშენებლობის ყველა რგოლში, გაუმჯობესდეს თვით მისი საფუძველი—წარმოების ხელმძღვანელობა, რათა უკეთ იქნას გამოყენებული საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკის უდიდესი რეზერვები და შესაძლებლობანი.

გაითვალისწინა რა ჩვენი ქვეყნის, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიური რაიონების საწარმოო ძალების განვითარების მნიშვნელოვნად გაზრდილი დონე და ის, რომ ადგილებზე გაიზარდნენ მრავალრიცხოვანი კვალიფიციური კადრები, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო განხორციელდეს ღონისძიებანი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციული ფორმების შემდგომი სრულყოფისათვის, რათა ისინი შეესაბამებოდნენ სახალხო მეურნეობის ამოცანებსა და მოთხოვნებს კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა დაავალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებანი მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის გარდასაქმნელად და, ამ საკითხის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით, შეიტანონ იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

I.

სამეურნეო მშენებლობის მართვის ლენინური პრინციპები და სსრ კავშირის ეკონომიური განვითარების ზოგიერთი შედეგი

1. წელს საბჭოთა ხალხი და ყველა ქვეყნის მშრომელები აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. ორმოცი წლის წინათ რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში, დაამხო რა კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობა, საკუთარ ხელში აიღო ძალაუფლება, შექმნა მსოფლიოში პირველი მშრომელთა სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. ჩვენი ქვეყნის ქარხნები, ფაბრიკები, ტრანსპორტი, მიწა, ტყეები, მთელი ბუნებრივი სიმდიდრეები გადავიდა ხალხის საკუთრებაში. ისტორიაში პირველად მშრომელი ხალხი გახდა თავისი სამშობლოს ნამდვილი ბატონ-პატრონი, მას დაეკისრა ამოცანა მოეწყო ჩვენი ქვეყნის მეურნეობა ახალ, სოციალისტურ საწყისებზე, გასძღოლოდა ამ მეურნეობას უკაპიტალისტებოდ და უმემამულეებოდ, უექსპლოატატორებოდ. ქმნიდა რა თავის სოციალისტურ სახელმწიფოს, საბჭოთა ხალხი მიდიოდა გაუკვალავი გზით, ამასთან ძლევდა უდიდეს სიძნელეებს. ჩვენი ქვეყანა, როგორც ცნობილია, ცარიზმის დროს ეკონომიურად ჩამორჩენილი იყო, პირველმა მსოფლიო ომმა და მის შემდეგ იმპერიალისტ დამპყრობთა თავდასხმამ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკაზე კიდევ უფრო დაასუსტა იგი, გამოიწვია სამეურნეო ნგრევა.

ამ უმაგალითოდ ძნელ პირობებში კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით დარაზმა მშრომელთა მილიონიანი მასები ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად, სახალხო მეურნეობის აღსადგენად. იმპერიალისტთა შეიარაღებული შემოტევის მოგერიების შემდეგ საბჭოთა ქვეყანა საერთაშორისო განვითარებაზე მთავარ ზემოქმედებას ახდენდა თავისი სამეურნეო მშენებლობით. „ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ამ სარბიელზეა გადატანილი. თუ ჩვენ ამ ამოცანას გადავწყვეტთ, მაშინ ჩვენ საერთაშორისო მასშტაბით უცილობლად და საბოლოოდ მოვიგებთ. ამიტომ სამეურნეო მშენებლობის საკითხებს ჩვენთვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება“ (თხზ., ტ. 32, გვ. 556).

2. იწყებდა რა სამეურნეო მშენებლობის ამოცანების გადაჭრას, კომუნისტურმა პარტიამ მთავარი უურადღება მიაქცია ტრანსპორტის, სათბობის მრეწველობის, მეტალურგიის აღდგენასა და განვითარებას, მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის, როგორც ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის საფუძვლის, მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საფუძვლის შექმნას. სამეურნეო მშენებლობის გეგმების შემუშავებისა და განხორციელებისას პარტია პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა ქვეყნის ელექტროფიკაციას. პარტია ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი დებულებებით იმის შესახებ, რომ მხოლოდ მძიმე ინდუსტრიაა სოციალიზმის ძირითადი მატერიალური ბაზა, რომ ყოველი ოდნავი დანაზოგი უნდა შევინახოთ მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის განვითარებისათვის, ელექტროფიკაციის განვითარებისათვის.

სოციალიზმს მშენებლობის ერთ-ერთი ურთულესი ამოცანა ეყო ამოცანა ჩამორჩენილი წვრილგლეხური სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა სოციალისტურ საწყისებზე, მსხვილი მექანიზებული კოლექტიური სოფლის მეურნეობის შექმნა. ლენინის კოოპერაციული გეგმა გახდა პარტიის პროგრამა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის, კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების შექმნის საქმეში.

კომუნისტური პარტია საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე უდიდეს უურადღებას აქცევს მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებას, ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის განხორციელებას, სახალხო ინტელიგენციის შექმნას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის კვალიფიციური კადრების აღზრდას.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციას და განცხადებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შესახებ

28 მარტს საღამოს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციას.

დეკლარაციას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ იანოშ კადარმა.

განცხადებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შესახებ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ იანოშ კადარმა.

ხელმოწერას დაესწრნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაციის წევრები და პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები. (საკდესი).

ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის პირველი სახელმწიფო საკისარის ქარხანა

ქარხნის დირექტორს ამხ. ა. ა. გრომოვს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიული კომიტეტის მდივანს ამხ. პ. ო. კვაჩევს

პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. პ. ვ. ფროლოვს

საკავშირო ალკკ კომიტეტის მდივანს ამხ. დ. დ. სოკოლინს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის პირველი სახელმწიფო საკისარის ქარხნის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს ქარხნის 25 წლისთავის დღეს თვალსაჩინო წარმატებებს, რომლებიც ქარხნის კოლექტივმა მოიპოვა საკისარის მრეწველობისა და სამამულო მანქანათმშენებლობის განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რწმენას გამოთქვამენ, რომ პირველი სახელმწიფო საკისარის ქარხნის კოლექტივი, რომელმაც თავის მუშაობაში მაღალ ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს მიაღწია, კვლავაც პირნათლად შეასრულებს ამოცანებს, რომლებიც მის წინაშე დასახულია მეექვსე ხუთწლედში ტექნიკის ამაღლებისა და წარმოების ორგანიზაციის და მაღალხარისხოვანი საკისარებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებიის თეზისების განხილვისთვის

(გაგრძელება)

ამრიგად, კომუნისტურ პარტიას ჰქონდა ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა სოციალიზმის მშენებლობისა, რომელიც ითვალისწინებდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასა და ელექტროფიკაციას, სოფლის მეურნეობის კოოპერირებას სოციალისტურ საწყისებზე, კულტურული რევოლუციის განხორციელებას, ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას, საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას. ამან იდეურად შეიარაღა პარტია, დაუსახა ხალხს ახალი ცხოვრების მშენებლობის სათელი გზა, გამოიწვია მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობა.

3. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების დასახული გეგმების წარმატებით შესრულებისათვის საჭირო იყო გამოგვემუშავებინა სახალხო მეურნეობის მართვის ახალი ფორმები და მეთოდები, რომლებიც შეესაბამება მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ნამდვილ დემოკრატიულ საფუძვლებს. სახალხო მეურნეობის მართვის სწორ ორგანიზაციას სოციალისტურ სახელმწიფოში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მატერიალური წარმოების განუხრელი ზრდისათვის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განმტკიცებისათვის, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სახალხო მეურნეობაში რეზერვების ყველაზე სრულად გამოყენებისათვის. ამიტომ სამეურნეო მშენებლობის საკითხები, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მართვის საკითხები მუდამ იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში, სახავდა რა სამეურნეო მშენებლობის პროგრამას, ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის ძირითადი პრინციპი უნდა გახდეს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სწორად შევუხამოთ მეურნეობის ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა მშრომელი მასების შემოქმედებითი აქტივობის მაქსიმალურ განვითარებას, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ წარმოების მართვაში, ადგილობრივი ორგანოების ინიციატივის განვითარებასა და სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის მათი პასუხისმგებლობის გადიდებას.

ნამდვილი დემოკრატიული აზრით გაგებული ცენტრალიზმი, წერდა ვ. ი. ლენინი, გულისხმობს არა მარტო ადგილობრივ თავისებურებათა, არამედ აგრეთვე ადგილობრივი თაოსნობის, ადგილობრივი ინიციატივის სრული და დაუბრკოლებელი განვითარების, საერთო მიზნისაკენ მოძრაობის გზების, ხერხებისა და საშუალებების სხვადასხვაობის ისტორიაში პირველად შექმნილ შესაძლებლობას.

სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრინციპს სოციალისტურ სახელმწიფოში წარმოადგენს დაგეგმვა — ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის გაძღოლა ერთიანი სახელმწიფო გეგმით. „მხოლოდ იმ მშენებლობას შეუძლია დაიმსახუროს სოციალისტურის სახელწოდება, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რომელიც დიდი საერთო გეგმის მიხედვით იწარმოებს, ეცდება რა თანაზომიერად გამოიყენოს ეკონომიური და სამეურნეო ფასეულობანი“ (თხზ., ტომი 28, გვ. 25).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ისტორიამ დაადასტურა დიდი ცხოველმყოფელი ძალა სოციალისტური მშენებლობის მართვის ლენინური პრინციპებისა, რომლებიც განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ქმნიან წარმოების მართვაში ხალხის მასების აქტიური მონაწილეობისათვის.

4. თანმიმდევრულად ახორციელებს რა ლენინურ გეგმებს, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ისტორიულად მოკლე ვადებში ააშენა სოციალიზმი. ხალხის თავდადებული შრომით ხუთწლედების წლებში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ტექნიკურად ხელახლა შეგვეიარაღებინა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი და განუზომლად გაგვეძლიერებინა საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა. დიდმა სამამულო ომმა მთელი დამაჯერებლობით ცხადყო, თუ რაოდენ ბრძნული და შორსმჭვრეტელური იყო და არის პარტიის ლენინური გენერალური ხაზი, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მძიმე მრეწველობის გადამწყვეტი დარგების პირველ რიგში განვითარება.

ომისშემდგომ წლებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, ავიდა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. სოციალისტური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ვითარდებიან თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ბაზაზე. ტექნიკური პროგრესის დარგში ამის მკაფიო დადასტურებაა თვალსაჩინო მიღწევები თანამედროვე მანქანების, ხელსაწყოების შექმნაში, სახალხო მეურნეობაში ელექტრონიკის გამოყენებაში, ატომის ენერგიის ათვისებასა და მშვიდობიანი მიზნით მის გამოყენებაში.

ჩვენმა ქვეყანამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაუსწრო ეკონომიურ განვითარებაში ბევრ კაპიტალისტურ სახელმწიფოს და სამრეწველო წარმოების დონის მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა. რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა საბჭოთა კავშირში 1957 წლისათვის გადიდდა 30-ჯერ და უფრო მეტად, ხოლო 1940 წელთან შედარებით — თითქმის ოთხჯერ. ამასთან მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის წარმოება 1913 წელთან შედარებით გადიდდა 180-ჯერ და ელექტროენერგიის წარმოება — თითქმის 100-ჯერ. ასეთი თვალსაჩინო წარმატებანი სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებაში მიღწეულია საბჭოთა ხელისუფლების 40 წელიწადში, აქედან სულ ცოტა 18 წელი მოუნდა სამოქალაქო ომსა და მეორე მსოფლიო ომს და სახალხო მეურნეობის აღდგენის შემდგომ პერიოდებს. ეს დამაჯერებლად მოწმობს, რომ როგორც ომამდელ, ისე ომისშემდგომ პერიოდში სოციალისტური მრეწველობა იზრდება ისეთი მაღალი ტემპებით, როგორიც არ იცოდა და არ იცის კაპიტალისტური განვითარების ისტორიამ.

საბჭოთა კავშირში შექმნილია მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა. სოციალისტურმა ინდუსტრიამ იგი აღჭურვა თანამედროვე მანქანებით, რომლებიც ასრულებენ ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, დიდად უმსუბუქებენ შრომას კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს. უკანასკნელ წლებში მიღწეულია სერიოზული წარმატებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელი რიგი დარგების განვითარებაში — მნიშვნელოვნად გაფართოვდა ნათესი ფართობები ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებით, გასულ წელს პური დამზადდა ერთ მილიარდზე მეტი ფუთით მეტი, ვიდრე 1955 წელს. ჩვენს ქვეყანას არასოდეს არ მოუყვანია იმდენი პური, რამდენიც შარშან მოიყვანა. გადიდდა ტექნიკური კულტურების მოსავალი, გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების, განსაკუთრებით რძის წარმოება.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველზე განუწყვეტლივ მაღლდება ხალხის ცხოვრების დონე. საბჭოთა წყობილების უპირატესობებმა და ჩვენი პარტიის სწორმა პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა სერიოზულ წარმატებათა მოპოვება ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ყველაზე განმაზოგადებელი მაჩვენებელია სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის ზრდა. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ჩვენი ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი 1913 წლიდან 1951 წლამდე 13-ჯერ გადიდდა. ნაციონალური შემოსავლის ზრდის ასეთი ტემპები არ არის არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაციონალური შემოსავალი ამავე ხნის განმავლობაში საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა ნაკლებ, ვიდრე ორჯერ, ინგლისსა და საფრანგეთში კი მხოლოდ 1,6-ჯერ. ამასთან სსრ კავშირის მთელი ნაციონალური შემოსავალი ნაწილდება მშრომელთა ინტერესებისათვის, მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში ნაციონალური შემოსავლის ნახევარზე მეტს ექსპლოატატორული კლასები ითვისებენ.

განახორციელა რა კულტურული რევოლუცია, საბჭოთა კავშირი გადაიქცა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყნად. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნილია ახალი, ნამდვილად სახალხო ინტელიგენცია, მომზადებულია დიდად განათლებული კადრები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგისათვის. თუ რევოლუციამდელ რუსეთში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 200 ათასზე ნაკლები სპეციალისტი იყო, ამჟამად საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 6 მილიონზე მეტი სპეციალისტია. ამჟამად ყველა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია 50 მილიონი კაცი; ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ყოველი მეოთხე მოქალაქე სწავლობს.

მოყვანილი ცნობები მოწმობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენმა ქვეყანამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა თავის სამეურნეო მშენებლობაში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებაში. მან ამით თვალსაჩინოდ ცხადყო იმის მაგალითი, თუ რის გაკეთება შეუძლია ხალხს, რომელმაც დაამსხვრია კაპიტალიზმის ბორკილები და საკუთარ ხელში აიღო ძალაუფლება, თუ იგი მეურნეობას აწარმოებს უექსპლოატატორებოდ, სოციალისტურ საწყისებზე.

თანამედროვე პირობებში, როცა საბჭოთა კავშირი აღარ არის სოციალიზმის ერთადერთი ქვეყანა, როცა მას მხარში უდგანან სახალხო ჩინეთი, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანა, რომლებიც 900 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებენ, ახალი მსოფლიოს მშენებელთა გიგანტური არმიის წინაშე ისახება დიდებული პერსპექტივები, არის ყველა პირობა იმისათვის, რომ განხორციელდეს მშრომელი კაცობრიობის ოცნება — კომუნისტური საზოგადოების აშენება.

II.

სახალხო მეურნეობის ზრდა და მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფა

1. სოციალისტური ეკონომიკის განვითარება იწვევს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის მეთოდების განუწყვეტელი სრულყოფის საჭიროებას.

ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო მშენებლობის პირველ ეტაპზე შეიქმნა სახელმწიფო მართვის ისეთი ორგანოები, როგორიც იყო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და სახალხო მეურნეობის საბჭოები ადგილებზე, სახელმწიფო საგეგმო კომისია და ადგილობრივი მაგგმავი ორგანოები, რომლებსაც შემდგომ პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭათ.

აღდგენითი პერიოდის ამოცანების გადაჭრიდან სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ფართო პროგრამის განხორციელებაზე გადასვლისას, როცა წარმოიშვა საჭიროება, რომ მოკლე ვადაში შეგვექმნა მრეწველობის ახალი დარგები, საჭირო გახდა აგრეთვე სამეურნეო მშენებლობის მართვის ახალი ორგანიზაციული ფორმები. სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგებში შეიქმნა სპეციალიზებული მთავარი სამმართველოები, ხოლო შემდეგ სახალხო კომისარიატები, სამინისტროები და უწყებები. სამეურნეო ხელმძღვანელობის ამ ფორმებმა საშუალება მოგვცა პარტიისა და სახელმწიფოს ღონისძიებანი ძირითადად მიგვემართა ძმიმე ინდუსტრიის გადამწყვეტი დარგების შექმნისაკენ, მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური კადრებისა და წარმოების ორგანიზატორების მომზადებისაკენ, რომლებიც შეძლებდნენ ახალი ტექნიკის ათვისებას და სამრეწველო წარმოების ფართო მასშტაბით გაძღოლას თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე.

2. ომისშემდგომ წლებში, როცა ჩვენმა მრეწველობამ და ჩვენი ქვეყნის მთელმა სახალხო მეურნეობამ მიაღწიეს კიდევ უფრო მაღალ დონეს, როცა მიმდინარეობს ახალი თვისებრივი ცვლილებები წარმოების განვითარებაში, განსაკუთრებული ძალით იჩენს თავს ტენდენცია შეიქმნას მრეწველობისა და მშენებლობის სულ ახალი და ახალი დარგები, შემდგომი სულ უფრო ღრმა სპეციალიზაციისა და ახალ სპეციალიზებულ დარგობრივ სამინისტროთა და უწყებათა შექმნის ტენდენცია. ეს დაკავშირებულია ახალი ტექნიკის ზრდასთან, ტექნიკური პროგრესის ამოცანებთან, მეცნიერების ახალ მიღწევებთან, რომლებიც იწვევენ დიდ თვისებრივ ცვლილებებს თანამედროვე სამრეწველო წარმოების ორგანიზაციაში.

ახლა საბჭოთა კავშირში არის 200 ათასზე მეტი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო და 100 ათასზე მეტი მშენებლობა, რომლებიც მდებარეობენ ჩვენი ვრცელი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში. ამ პირობებში ძნელია განხორციელდეს დიდძალ საწარმოთა და მშენებლობათა კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობა ერთი სამინისტროდან ან უწყებიდან. წარმოების არსებული მასშტაბების დროს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახლანდელი ფორმები არ შეესაბამებიან სახალხო მეურნეობის განვითარებისადმი კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობის გაზრდილ მოთხოვნებს, ისინი ზღუდავენ იმ რეზერვების სრულად გამოყენების შესაძლებლობებს, რომლებიც მეურნეობის სოციალისტურ სისტემაშია.

სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვს გაუმჯობესდეს მართვის ორგანიზაციული ფორმები მრეწველობისა და მშენებლობის ყველა დარგში. ამასთან დაკავშირებით საჭიროა უარი ვთქვათ მრეწველობის ხელმძღვანელობის ზოგიერთ მოძველებულ ორგანიზაციულ ფორმაზე, რათა ტექნიკური, ეკონომიური და ადმინისტრაციული მართვის შემდგომი დაქუცმაცების გზით კი არ ვიაროთ, არამედ გადავიდეთ სახალხო მეურნეობის მართვის უფრო მოქნილ ფორმებზე, რომლებშიც უფრო სრულად იქნება გათვალისწინებული ოლქის, მხარის, რესპუბლიკის თავისებურებანი.

მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ძირეული გარდაქმნის საკითხი ახლა იმიტომ კი არ წამოიჭრა, რომ ჩვენში აღმოჩნდა რაღაც უწესივრობანი სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესრულების საქმეში. საბჭოთა კავშირის მრეწველობა მტკიცედ მიდიოდა და მიდის წინ, რასაც დამაჯერებლად მოწმობენ სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების მონაცემები. მართვის ორგანიზაციული ფორმების გარდაქმნა უწინარეს ყოვლისა იმიტომ არის საჭირო, რომ კიდევ უფრო დიდი გასაქანი მივცეთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას, უფრო სრულად გამოვიყენოთ ჩვენში არსებული უდიდესი რეზერვები, რომ კიდევ უფრო ფართოდ განვავითაროთ მშრომელთა მასების შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა და უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. ღონისძიებანი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნისათვის ხელს შეუწყობენ აგრეთვე იმ მრავალ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რომლებიც არის მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახლანდელი ფორმების დროს.

3. მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის პრაქტიკის დიდი ნაკლია უწყებრივი ბარიერების არსებობა, რაც ხშირად აფერხებს სახალხო მეურნეობის განვითარების ბევრი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრას. მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ იმის შედეგად, რომ ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი ვიწროუწყებრივად უდგება საქმეს, სახელმწიფოს დიდი ზარალი მოსდის, დიდი ხნით ყოვნდება მთელი რიგი გადაუდებელი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაჭრა. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის ტრაქტორების წარმოება. სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებმა და მანქანათმშენებლებმა კარგად იციან, რომ თვლებიან ტრაქტორებს მრავალი სახეობის სამუშაოთათვის მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ მუხლუხა ტრაქტორებთან შედარებით. ზოგიერთი მანქანა-ტრაქტორთა სადგურის, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მიზანშეწონილია მუხლუხა ტრაქტორები გვქონდეს მთელი პარკის დაახლოებით 10 პროცენტი, ხოლო თვლებიანი — 90 პროცენტი. თვლებიანი და მუხლუხა ტრაქტორების ასეთი თანაფარდობა რომ გვქონდეს, მუხლუხა ტრაქტორების გამოშვება 1957 წელს უნდა შემცირებულიყო რამდენიმე ათეული ათასი ცალით და მათ ნაცვლად იმდენივე რაოდენობით გაკეთებულიყო თვლებიანი ტრაქტორები. ასეთი შეცვლა ერთ ტრაქტორზე, როცა ძრავის სიმძლავრე ერთი და იგივეა — 55 ცხენის ძალა, შემდეგ უპირატესობას იძლევა: ლითონის ხარჯვა მცირდება 2,2 ტონით, ტრაქტორის წონა, რომელიც ერთ ცხენის ძალაზე მოდის, მცირდება 1,5-ჯერ, ფერადი ლითონის ხარჯვა შემცირდება თითქმის 30 პროცენტით და შრომატევადობა წარმოებაში შემცირდება ერთიორად და მეტად, რაც საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ ტრაქტორების გამოშვება იმავე საწარმოო ფართობებზე. ტრაქტორების თვითღირებულება ნაკლები იქნება დაახლოებით 20 პროცენტით, რემონტის და ტექნიკური მოვლის ღირებულება ჰექტარ გამომუშავებაზე თითქმის ერთიორად ნაკლები იქნება.

ამრიგად, თუ გავიანგარიშებთ ყოველ 100 ათას გამოშვებულ თვლებიან ტრაქტორზე ნაცვლად მუხლუხა ტრაქტორებისა, სახალხო მეურნეობა მიიღებს ეკონომიას ლითონის ნაგლინისა — 56 ათას ტონას, რუხი თუჯისა — 68 ათას ტონას, ფოლადის სხმულისა — 92,5 ათას ტონას და ფერადი ლითონებისა — თითქმის 4 ათას ტონას. თვითღირებულების შემცირებით მიღებული საერთო ეკონომია ამასთან 160 მილიონი მანეთი იქნება. ამ სახსრებით შეიძლება შევქმნათ საწარმოო სიმძლავრენი წელიწადში 400 ათასი რეზინის შინის გამოსაშვებად, ხოლო ეს რაოდენობა საკმარისია 100 ათასი ტრაქტორისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შეცვლა უაღრესად სასარგებლოა სახალხო მეურნეობისათვის, ეს საკითხი დროზე არ იყო გადაჭრილი სამინისტროებს შორის უწყებრივი დავის გამო.

ისეთი ფაქტები, როცა დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო საკითხები იძირება უწყებრივ დავაში, არის მრეწველობისა და მშენებლობის სხვა დარგებშიც.

4. უწყებრივი მიდგომა იწვევს ერთსა და იმავე ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონში მდებარე მრეწველობის სხვადასხვა დარგების საწარმოთა შორის ნორმალური საწარმოო ურთიერთობის შესუსტებას, ხშირად კი დარღვევასაც. ვიწრო უწყებრივი მიდგომის დროს სრულად ვერ ვიყენებთ იმის შესაძლებლობას, რომ ოპერატიულად გადავწყვიტოთ სამეურნეო საკითხები ადგილებზე, უფრო მიზანშეწონილად გავანაწილოთ არსებული მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები და განვახორციელოთ კონკრეტული ღონისძიებანი იმ ნაკლოვანებათა რაც შეიძლება მალე აღმოსაფხვრელად, რომლებიც გეგმების შესრულების მსვლელობაში იჩენენ თავს.

სხვადასხვა სამინისტროთა ვიწროუწყებრივი მიდგომის გამო ბევრ საწარმოში არარაციონალურად იყენებენ საწარმოო სიმძლავრეთა ნაწილს. მაგალითად, ლენინგრადში აწარმოებენ 360 ათას ტონამდე თუჯისა და ფოლადის სხმულს წელიწადში, აქედან მხოლოდ 250 ათას ტონას ხმარობენ ლენინგრადის საწარმოები, დანარჩენი სხმული კი გააქვთ. ამავე დროს ლენინგრადში შეაქვთ 40 ათას ტონამდე მსხვილი თუჯისა და ფოლადის სხმული. ამ შემთხვევაში, რაკი არსებობენ საწარმოო სიმძლავრენი, ახალი სამსხმელო საამქროების მშენებლობა მკაცრად უნდა შეიზღუდოს. მხოლოდ და მხოლოდ უწყებრივი ტენდენციების შედეგად კი არის არარაციონალური მშენებლობის შემთხვევები. მაგალითად, ლენინგრადში წელიწადში 30 ათას ტონამდე თუჯის სხმულის სიმძლავრის ქარხანა „ლენსტანკოლიტის“ არსებობისას სვერდლოვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში შენდება წელიწადში 5 ათასი ტონა სხმულის სიმძლავრის მეორე თუჯსასხმელი საამქრო და არსებობს 4 ათასი ტონა სიმძლავრის მესამე მოქმედი საამქრო. ყოველივე ეს იქმნება ამ ქარხნების მეზობელი ტერიტორიული განლაგებისას. და ამავე დროს ქარხანა „ლენსტანკოლიტიდან“ ასეთი სხმული წელიწადში გააქვთ 8 ათას ტონაზე მეტი. ასეთი პრაქტიკა სახელმწიფოს დიდ მატერიალურ ზარალს აყენებს.

ასეთი ნაკლოვანებანი, ხოლო ისინი ცოტა როდია სხვა ადგილებშიც, ჩნდებიან იმიტომ, რომ ახალი საამქროებისა და ქარხნების წარმოებისა და მშენებლობის გეგმებს თვითეულ სამინისტროში იმუშავებენ იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა კეთდება სხვა სამინისტროებში, ცალკეული რაიონების თავისებურებათა გათვალისწინებლად, ადგილობრივი მუშაკების მიერ მონაწილეობის მიუღებლად.

5. სახალხო მეურნეობას დიდ ზარალს აყენებს მრავალ სამინისტროსა და უწყებას შორის მშენებელი ორგანიზაციების ამჟამად მოქმედი განცალკევება. ეს იმას იწვევს, რომ ერთსა და იმავე ქალაქში ან რაიონში თვითეული მშენებელი ორგანიზაცია ქმნის თავის საწარმოო ბაზას, იჩენს დიდძალ დამხმარე საწარმოსა და მეურნეობას, აწყობს თავის ავტოტრანსპორტს, მომარაგების საწყობებს, რის გამო ასიგნობანი სამშენებლო ბაზების შესაქმნელად მკვეთრად იზრდებიან, ხოლო მათი საქმიანობის ეფექტიანობა მცირდება.

ასეთი განცალკევება იმას იწვევს, რომ ერთ ოლქში ან ერთ ქალაქში სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს მრავალი ორგანიზაცია. მაგალითად, ჩელიაბინსკის ოლქის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს 25 სამინისტროსა და უწყების 182 სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაცია; სვერდლოვსკის ოლქში მშენებლობას ეწევა 30 სამინისტროსა და უწყების 203 სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაცია, ასრულებენ რა ხშირად სამუშაოს თავიანთი ორგანიზაციების ძალებით ერთ რაიონში, ერთ ქუჩაზე. საქმე იქამდე მივიდა, მაგალითად, რომ სვერდლოვსკის კუზბასის ქუჩაზე რვა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მინდობილი აქვს შვიდი სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების სამშენებლო ორგანიზაციებს. ისეთ საოლქო ცენტრში, როგორიც ბელგოროდია, არის 8 სამინისტროსა და უწყების ექვსი სამშენებლო და შვიდი სპეციალიზებული ორგანიზაცია, რომლებიც ყველანი ერთად ასრულებენ 90 მილიონი მანეთის სამშენებლო სამუშაოებს.

ამგვარი პრაქტიკის შედეგად სამრეწველო საწარმოებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები იქსაქსება, მშენებლობის ვადები ჭიანურდება, სამშენებლო სამუშაოთა ღირებულება მნიშვნელოვნად იზრდება, ცუდად იყენებენ სამშენებლო მექანიზმებს, ტრანსპორტს, იზრდება ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის შენახვის ხარჯები, რაც, საბოლოო ანგარიშით, ძვირად უჯდება სახელმწიფოს. როგორც მოსკოვის, ლენინგრადისა და მთელი რიგი სხვა ქალაქების გაერთიანებულ სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, ასეთი გამსხვილებული სამშენებლო ორგანიზაციები ტერიტორიული ნიშნის მიმართულებით საშუალებას იძლევიან აღმოიფხვრას ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მშენებლობის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

6. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის არსებული ფორმებისას ყოველი სამინისტრო ბევრ შემთხვევაში ცდილობს დაამზადოს თავისათვის ყველაფერი, ანგარიშს არ უწევს სახსრებისა და მასალების ხარჯვას, ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ყოველივე ეს იწვევს საწარმოო ფართობებისა და მოწყობილობის არასრულ გამოყენებას, იწვევს შემხვედრ, შორეულ და სხვა არარაციონალურ ტვირთზიდვას.

მაგალითად, მანქანათმშენებელ მრეწველობაში საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების სუსტად განვითარების გამო სხმულის, ნაჭედისა და ნატვიფრის წარმოება დაქსაქსულია ბევრი სამინისტროსა და უწყების მრავალ წვრილ საწარმოში. თუჯისა და ფოლადის სხმულის და ნატვიფრის სპეციალიზებული ქარხნების ხვედრითი წონა ჯერ კიდევ ძალიან მცირეა.

საწარმოო კოოპერაციას უმთავრესად შიდაუწყებრივი ხასიათი აქვს, ხოლო სხვადასხვა სამინისტროს საწარმოთა შორის კოოპერაცია ძალიან სუსტად ვითარდება, რაც იწვევს საწარმოო სიმძლავრეთა არადამაკმაყოფილებელ გამოყენებას. მაგალითად, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს კიევის ქარხანა „კრასნი ექსკავატორში“ განხორციელდა სამსხმელო საამქროს რეკონსტრუქცია და გაფართოება და ახლა ქარხანა სხმულს აწვდის ამ სამინისტროს საწარმოებს, რომლებიც მდებარეობენ ტაშკენტში, ლენინგრადში, სვერდლოვსკში, კუიბიშევში, კურსკში, იჟევსკში და ტიუმენსა და კურგანშიც კი. ამავე დროს ამ ქალაქებიდან სხვა სამინისტროები მნიშვნელოვანი რაოდენობით ეზიდებიან სხმულს ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში. ამრიგად, სხმული გადააქვთ 3.500 კილომეტრზე მეტ მანძილზე. კიევის ქარხანა „კრასნი ექსკავატორიდან“ თუჯის სხმულის ტიუმენში გადაზიდვის ღირებულება შეადგენს მისი წარმოების ღირებულების 20 პროცენტზე მეტს. საქმისადმი უფრო ყაირათიანი დამოკიდებულებისას შეიძლებოდა სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის ქარხნების დაკმაყოფილება ადგილზე სხმულით, რომელსაც უშვებენ სხვა სამინისტროთა საწარმოები, და თავიდან აგვეცილებინა შემხვედრი ტვირთზიდვა. მაგრამ სამინისტროს ვიწროუწყებრივი ინტერესები არ იძლევიან საშუალებას გადაიჭრას ეს საკითხი სწორად, სახელმწიფოებრივად. არარაციონალური ტვირთზიდვა დიდ ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას.

7. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რომელიც იწვევს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის აუცილებლობას, აგრეთვე ის არის, რომ უფრო სწორად გამოვიყენოთ სპეციალისტები და უფრო ფართოდ ჩავაბათ მრეწველობისა და მშენებლობათა ხელმძღვანელობაში ადგილობრივ მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრები.

აწყობდნენ რა ფართო მასშტაბით სპეციალისტების მომზადებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის, პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების შექმნას. თუ 1928 წელს ჩვენ გვყავდა 98 ათასი ინჟინერი და ტექნიკოსი, ამჟამად გვყავს 1 მილიონ 600 ათასზე მეტი. ჩვენი ქვეყნის უმაღლესმა სასწავლებლებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოუშვეს 3 მილიონ 500 ათასზე მეტი სპეციალისტი, მათ შორის დაახლოებით მილიონი ინჟინერი. მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცნიერ მუშაკთა რიცხვი. 1913 წელს სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში 10 ათასზე ცოტა მეტი მეცნიერი მუშაკი იყო, ახლა ასეთი მუშაკები 240 ათასია.

ეს ცნობები გვიჩვენებენ, თუ კვალიფიციური კადრების რა უდიდესი არმია ჰყავს ჩვენს ქვეყანას. მაგრამ შექმნილი პრაქტიკის დროს მმართველობის აპარატში დაბანდებულია და წარმოებაში უშუალო მონაწილეობას მოწყვეტილია წარმოების ბევრი უნარიანი ორგანიზატორი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი.

უკანასკნელ წლებში გაწეულია დიდი მუშაობა ორგანიზაციული სტრუქტურის ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და სამმართველო აპარატის შტატებში ზედმეტობის ლიკვიდაციისათვის. მთლიანად სამმართველო, დამამზადებელი და სხვა არასაწარმოო პერსონალის რიცხვი უკანასკნელ სამ წელიწადში შემცირდა 900 ათასზე მეტი კაცით, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გადაყვანილია წარმოებაში. მაგრამ მეურნეობის სამმართველო აპარატი კვლავ დიდი და მოუქნელია.

მრეწველობისა და მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნა შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ და გავამარტივოთ აპარატი, აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი კვალიფიციურ

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებიის თეზისები

(გაგრძელება)

კადრების გამოყენებაში, მართვისა და მომსახურების აპარატიდან განთავისუფლებული ადამიანები გადავიყვანოთ საწარმოებში და მშენებლობებზე, იქ, სადაც უშუალოდ იქმნება მატერიალური ფასეულობანი.

8. სამრეწველო და სამშენებლო სამინისტროთა არსებული სტრუქტურა მრავალსაფეხურიანი და რთულია. სამინისტროები და უწყებები, ცენტრიდან ახორციელებენ რა ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისადმი ხელმძღვანელობას, გარდუვალად იჩენენ მრავალ პარალელურად მოქმედ ორგანიზაციას — სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და მომმარაგებელ კანტორებს, ბაზებს, ტრესტებსა და სხვ. სამინისტროებში არის ბევრი სხვადასხვა მთავარი სამმართველო, განყოფილება და სხვა სტრუქტურული ქვეგანყოფილებანი. ტერიტორიული მთავარი სამმართველოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ციმბირის, შუა აზიის, შორეული აღმოსავლეთისა და სხვა ცალკეული რაიონების საწარმოებს, როგორც წესი, მოსკოვში იმყოფებიან. სამინისტროთა მოუქნელი სტრუქტურა იმას იწვევს, რომ საწარმოთა მიერ აღძრული საკითხების გადაჭრას გრძელი გზა სჭირდება, მრავალ საფეხურსა და ინსტანციას გადის. საწარმოებიდან და მშენებლობებიდან სამინისტროებისა და მთავარი სამმართველოების უწყებრივი განცალკევებისა და სიშორის გამო სამინისტროთა მუშაკები იძულებული არიან ბევრი დრო ხარჯონ საუწყებათაშორისო მიმოწერაზე, ბრძანებათა და განკარგულებათა, ნაკრები ცნობებისა და მოხსენებითი ბარათების შედგენასა და გაგზავნაზე — ქარხნებში, ფაბრიკებში და მშენებლობებზე პრაქტიკული ორგანიზატორული მუშაობის საზიანოდ. ქაღალდის უზარმაზარი ნაკადები, რომლებიც სამინისტროებიდან მომდინარეობენ, კონკრეტულ საქმეებს აშორებენ საწარმოთა მრავალ მუშაკს. ადგილებიდან ცენტრში იწვევენ მრავალ სპეციალისტს, რომლებიც სწყდებიან ცოცხალ საწარმოო მუშაობას და თვეობით იმყოფებიან სამინისტროებში.

ყველა ეს ნაკლი უარყოფით გავლენას ახდენს საწარმოთა და მშენებლობათა გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პრაქტიკაზე, იწვევს არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა სუსტ გამოყენებას და კაპიტალურ მშენებლობაში სახსრების დაქსაქსვას ბევრ ობიექტზე.

9. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის დარგობრივი სტრუქტურა უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე საწარმოთა და მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციაზე. თვითეულ სამინისტროს და უწყებას თავისი დიდი მომმარაგებელი და გამსაღებელი აპარატი ჰყავს. მომმარაგებელ ორგანიზაციათა ქსელი მოუქნელი და ძვირადღირებულია. სამრეწველო ცენტრებში, როგორც წესი, პარალელურად მოქმედებს სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების ბევრი მომმარაგებელი სამმართველო და გამსაღებელი სამმართველო. მაგალითად, ლენინგრადში 123 მომმარაგებელი ორგანიზაციაა, ხარკოვის ოლქში — 74, ნოვოსიბირსკის ოლქში — 76. სამინისტროები ხშირად რამდენიმე პარალელურად მოქმედ მომმარაგებელ კანტორასა და სააგენტოს ქმნიან ერთსა და იმავე ქალაქში. სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, მაგალითად, მოსკოვში ჰქონდა 15 მომმარაგებელი ორგანიზაცია, ლენინგრადში — 9, მინსკში — 7, ნოვოსიბირსკში — 6.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საუწყებო მომმარაგებელ ორგანიზაციათა დიდი აპარატი, ნედლეულსა და მასალებს საწარმოებს და მშენებლობებს ხშირად დროზე და კომპლექტურად ვერ აწვდიან. ეს აძნელებს საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობას, არღვევს რიტმულობას, ზოგჯერ იწვევს მუშათა გაცდენასა და მოწყობილობის მოცდენას, მნიშვნელოვან მატერიალურ ფასეულობათა დაგროვებას და გაყინვას ზოგიერთ საწარმოში და მათს ნაკლებობას სხვა საწარმოებში. სამინისტროები, რადგან ტერიტორიულად მოწყვეტილი არიან საწარმოებს, სუსტად იცნობენ მათს საჭიროებებს და ხშირად დროზე ვერ ახორციელებენ ღონისძიებებს საწარმოთა და მშენებლობათა დასაკმაყოფილებლად.

10. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა საჭიროდ ცნო გადასვლა სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის ისეთ ფორმებზე, რომლების დროსაც უფრო სრულად იქნება შეხამებული კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობა ადგილებზე ცენტრალიზებული გეგმიანი საწყისის ზუსტ დაცვასთან მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის აღნიშნული მიმართულებით გარდაქმნის განხორციელება უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში დემოკრატიული ცენტრალიზმისა და გეგმიანი საწყისის ლენინური პრინციპის შემდგომ განმტკიცებას. ვ. ი. ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის მხრივ სოციალისტური მშენებლობისადმი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის განხორციელების დროს საჭიროა ფართოდ ჩავაბათ ადგილობრივი ორგანოები სამეურნეო საკითხების გადაჭრაში. „ადგილებზე სხვადასხვა უწყების შეუთანხმებლად მუშაობა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ერთ-ერთი დიდი ბოროტებაა, რომელიც ხელს უშლის სამეურნეო მშენებლობას. ამ საკითხს უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს... ადგილებზე, მუშათა და გლეხთა მასებთან უფრო ახლოს, ეს ნაკლოვანებანი უფრო ჩანს, და ადგილებმავე უნდა შეიმუშაონ — გამოცდილების ურთიერთგაზიარების გზით — ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის ხერხები“ (თხზ., ტ. 32, გვ. 490-491).

III.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანოები რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში

1. სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანების შესაბამისად მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე საჭიროა მრეწველობისა და მშენებლობის ოპერატიული ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას ადგილებზე, უფრო ახლო საწარმოებთან და მშენებლობებთან. ამ მიზნით, როგორც ჩანს, დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით მართვის წინანდელი ორგანიზაციული ფორმებიდან უნდა გადავიდეთ მართვის ახალ ფორმებზე ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. ასეთი მართვის ფორმა შეიძლება იყოს, მაგალითად, სახალხო მეურნეობის საბჭოები. გარდაქმნა, რომელიც ამ მიმართულებით განხორციელდება, შესაბამისი იქნება სამეურნეო მშენებლობის დარგში დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის შემდგომი განხორციელების ინტერესებისა, რაც გულისხმობს მასების, ადგილობრივი ორგანოების შემოქმედებითი ინიციატივის ყოველი ღონისძიებით განვითარებას ცენტრის ხელმძღვანელი როლის პირობებში.

ცნობილია, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი ეკონომიური მშენებლობის მართვის ახალ ორგანოებს — სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ადგილობრივ სახალხო მეურნეობის საბჭოებს. „სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ამჟამად ერთ-ერთი უძნელესი და ერთ-ერთი ყველაზე მადლიერი ამოცანა დაეკისრა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი 1918 წელს. — არავითარი ეჭვი არაა, რომ, რაც უფრო წინ წავა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარნი, რაც უფრო გაღრმავდება ეს მისგან დაწყებული გადატრიალება, რაც უფრო მტკიცე საფუძველი ჩაეყრება სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართ და სოციალისტური წყობილების განმტკიცებას, მით უფრო დიდი, მით უფრო მაღალი გახდება სახალხო მეურნეობის საბჭოების როლი. ყველა სახელმწიფო დაწესებულებისაგან მხოლოდ მათ უწერიათ შეინარჩუნონ მტკიცე ადგილი, რომელიც მით უფრო მტკიცე იქნება, რაც უფრო ახლოს ვიქნებით სოციალისტური წესრიგის დამყარებასთან, რაც უფრო ნაკლებად საჭირო იქნება წმინდა აღმინისტრაციული აპარატი, აპარატი, რომელიც საკუთრივ მხოლოდ მმართველობას უძღვება. ამ აპარატს უწერია, მას შემდეგ რაც ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გატეხილი იქნება, მას შემდეგ რაც მშრომელნი ისწავლიან სოციალისტური წარმოების მოწყობას, — მმართველობის ამ აპარატს ამ სიტყვის საკუთარი, ვიწრო მნიშვნელობით, ძველი სახელმწიფოს აპარატს სიკვდილი უწერია. ხოლო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ტიპის აპარატს უწერია ზრდა, განვითარება და განმტკიცება, ორგანიზებული საზოგადოების მთელი უმთავრესი მუშაობის შევსება თავისთავით“ (თხზ., ტომი 27, გვ. 495-496).

ამჟამად, როცა ჩვენს ქვეყანაში მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა, გაიზარდნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელების მრავალრიცხოვანი კადრები, ბევრად გაიზარდა მუშათა კლასის რიცხვი, განუზომლად ამაღლდა მისი კულტურულ-ტექნიკური დონე, შეიქმნა იმის ხელსაყრელი პირობები, რომ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა ტერიტორიული პრინციპით განხორციელდეს.

მართვის ასეთი ფორმა დიდ უფლებებს მიანიჭებს რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების საბჭოთა, პარტიულ, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, გაადიდებს მათს პასუხისმგებლობას ეკონომიკის განვითარებისათვის, შესაძლებელს გახდის უფრო მეტად ჩავაბათ მშრომელთა ფართო მასები სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობაში.

2. თუ ცნობილ იქნა მიზანშეწონილად, რომ მიღებულ იქნას წინადადება — შეიქმნას მრეწველობისა და მშენებლობის ტერიტორიული მართვის ორგანოები სახალხო მეურნეობის საბჭოების სახით რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში, საჭირო აღარ იქნება საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროები, რომლებიც მრეწველობასა და მშენებლობას განაგებენ. თუ გავითვალისწინებთ პირობებს, რომლებიც ამჟამად გვაქვს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებაში, კვალიფიციურ კადრებს ადგილებზე და სამრეწველო წარმოების გაზრდილ მოცულობას, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ყველაზე მიზანშეწონილი სტრუქტურა იქნება სახალხო მეურნეობის საბჭოები ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში.

სახალხო მეურნეობის საბჭოები, როგორც წესი, უნდა შეიქმნას არსებული ადმინისტრაციული დაყოფის შეფარდებით, ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში მრეწველობის განვითარების დონე. ასეთი ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონებია, მაგალითად, სვერდლოვსკის ოლქი, ჩელიაბინსკის ოლქი, ბაშკირეთის ასსრ, რომელთაგან თვითეულს დიდად განვითარებული მრეწველობა აქვს. სრულიად მიზანშეუწონელი იქნება შევქმნათ სახალხო მეურნეობის საბჭოები ისეთი უდიდესი ეკონომიური რაიონისათვის, როგორიც არის ურალი მთლიანად, რადგან მართვის ასეთი ორგანიზაციის დროს არ იქნება შექმნილი პირობები მრავალი სამრეწველო საწარმოსა და მშენებლობის ოპერატიული და კონკრეტული ხელმძღვანელობისათვის.

მაგრამ საჭირო არ არის სახალხო მეურნეობის საბჭო გვქონდეს ყველა ოლქში, მხარესა და ავტონომიურ რესპუბლიკაში, არამედ საბჭო უნდა შეიქმნას იქ, სადაც მრეწველობა საკმაოდ განვითარებულია. ბუნებრივია, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნის საკითხის გადაჭრის დროს საჭიროა კონკრეტულად გავუკეთოთ ანალიზი მოცემულ ოლქში მრეწველობისა და მშენებლობის განვითარების მთელ პირობებს. მთელ რიგ შემთხვევებში შეიძლება გამართლებულ იქნას სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა ისეთ ოლქებშიც, სადაც მრეწველობა თუმცა არც ძლიერ განვითარებულია, მაგრამ დაშორებულობისა და ტერიტორიული დაქსაქსულობის გამო ესაჭიროება მართვის ორგანოების შექმნა ადგილობრივ. ამის მაგალითად გამოდგება იაკუტიის ასსრ და მაგადანის ოლქი. სხვა ოლქებში, სადაც მრეწველობა სუსტად არის განვითარებული, როგორც ჩანს, მიზანშეწონილია გავაერთიანოთ მთელი რიგი მომიჯნავე ოლქების მრეწველობის მართვა. მაგალითად, ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში მიზანშეწონილია შევიდეს მეზობელი ოლქების — ნოვგოროდისა და პსკოვის ოლქების, ხოლო შესაძლოა, ვოლოგდის ოლქის სამრეწველო საწარმოებიც. უკრაინის რესპუბლიკაში ლვოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს შეიძლება დაექვემდებაროს დროგობიჩის, სტანისლავის, იმიერკარპატის, ვოლინის, როვნოს, ტერნოპოლის და ჩერნოვიცის ოლქებში მდებარე საწარმოები. მაგრამ ეს საკითხი საჭიროა გადაიჭრას მისი გულმოდგინედ შესწავლის შემდეგ.

შესაძლოა, რომ ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში, განსაკუთრებით იქ, სადაც არ არის საოლქო დაყოფა, მიზანშეწონილია იყოს სახალხო მეურნეობის ერთი საბჭო. ეს საკითხიც დამატებით განხილვას მოითხოვს.

3. ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭო იქნება მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ძირითადი რგოლი, იგი უშუალოდ განაგებს მისთვის დაქვემდებარებულ საწარმოებსა და მშენებლობებს, ამასთან იხელმძღვანელებს სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო სახელმწიფოებრივი გეგმის დავალებებით. დაგეგმვის საკითხებში სახალხო მეურნეობის საბჭოები ორმაგ დაქვემდებარებაში არიან — ექვემდებარებიან მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობას და სსრ კავშირის მთავრობას.

ამასთან დაკავშირებით უნდა გადაისინჯოს მრეწველობის დაქვემდებარების ფორმების მიხედვით დაყოფის არსებული წესი. შემდეგში მრეწველობა უნდა დაიყოს საკავშირო-რესპუბლიკურ და ადგილობრივ მრეწველობად. ამა თუ იმ რესპუბლიკაში რომელი საწარმოები უნდა მიეკუთვნოს საკავშირო-რესპუბლიკურ და ადგილობრივ მრეწველობას, ეს დამატებით უნდა დაზუსტდეს თვითეულ რაიონში.

სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში გადაცემულ უნდა იქნას სამრეწველო საწარმოები, კომბინატები, ტრესტები და სხვა საწარმოო გაერთიანებები, მშენებლობები, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორები და ბაზები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ახლა საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა გამგებლობაში არიან, და რესპუბლიკური მრეწველობის საწარმოთა ნაწილი; რესპუბლიკური მრეწველობის საწარმოთა მეორე ნაწილი მიზანშეწონილია გადაცემულ იქნას ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში.

4. მხარეების, ოლქებისა და რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოები აღიჭურვებიან ყველა უფლებით, რომლებიც საჭიროა სამეურნეო და ფინანსური საქმიანობის განხორციელებისათვის, და სრულ პასუხს აგებენ წარმოების გეგმების შესრულებისა და მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა საქმიანობის ეკონომიური შედეგებისათვის.

სახალხო მეურნეობის საბჭოების ამოცანა იქნება წარმოების პერსპექტივული და მიმდინარე გეგმების შემუშავება და განხორციელება, საწარმოთა სპეციალიზაციის გეგმების, წარმოების კოოპერირების და როგორც ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონში, ისე სხვა ოლქებსა და რესპუბლიკებში ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ურთიერთ მიწოდების გეგმების შემუშავება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შედგენა და განხორციელება.

5. სახალხო მეურნეობის საბჭოებმა ადგილობრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით ოპერატიულად უნდა გადაჭრან მოცემული ოლქისა თუ რესპუბლიკის მრეწველობისა და მშენებლობის განვითარების ამოცანები საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების მიხედვით.

სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა შესაძლებელს გახდის ადგილებზე გადაიჭრას უმნიშვნელოვანესი სამეურნეო საკითხები, რომელთაგან ბევრს წინათ სამინისტროები და უწყებები მხოლოდ ცენტრში წყვეტდნენ.

მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ახალი ორგანიზაციისას ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა მრავალი სხვადასხვა წვრილი სამშენებლო ორგანიზაციის ნაცვლად სახალხო მეურნეობის საბჭოები შეძლებენ შექმნან ერთიანი სამშენებლო ორგანიზაციები; რაც დაჩქარებს სამშენებლო სამუშაოებს, საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავებას, შესაძლებელს გახდის უფრო რაციონალურად იქნას გამოყენებული სამშენებლო მექანიზმები და შემცირდეს მშენებლობის ღირებულება.

სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა დიდ შესაძლებლობას შექმნის საწარმოთა შინაგანი რეზერვების გამოყენებისათვის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების ფართოდ განვითარებისათვის როგორც ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში, ისე რაიონებსა და რესპუბლიკებს შორის.

6. სახალხო მეურნეობის საბჭოების აპარატი არ უნდა იყოს დიდი და მოუქნელი, მათს სტრუქტურას განსაზღვრავენ თვითეული ოლქის, მხარისა თუ რესპუბლიკის ნამდვილი მოთხოვნილებანი და თავისებურებანი.

სახალხო მეურნეობის საბჭოსთან მიზანშეწონილია შეიქმნას ტექნიკურ-ეკონომიური საბჭო, რომელშიც შევლენ თვალსაჩინო სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები და მოწინავენი, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, სამეცნიერო-საკვლევი და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ტექნიკურ-ეკონომიური საბჭოს ძირითადი ამოცანა იქნება განიხილოს ოლქის, მხარისა თუ რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების, შიდასარაიონო საწარმოო კოოპერირების საერთო საკითხები, განიხილოს დიდი საწარმოო-ტექნიკური და ეკონომიური საკითხები, გეგმის შესრულების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, თვითღირებულების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფის ღონისძიებანი და სხვ. სახალხო მეურნეობის საბჭოებმა თავისი მუშაობა უნდა ააგონ მრეწველობისა და მშენებლობის მართვაში მშრომელთა ფართო მონაწილეობის საფუძველზე.

საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელობის ძირითად მუშაობას თავი უნდა მოვუყაროთ სახალხო მეურნეობის საბჭოებისადმი დაქვემდებარებულ დარგობრივი პრინციპის მიხედვით აგებულ კომბინატებში, ტრესტებსა და სხვა სამეურნეო გაერთიანებებში. სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატი კი დიდი არ უნდა იყოს. მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა რაოდენობისა და სხვადასხვა დარგის საწარმოთა ორგანიზაციის არსებული ფორმის მიხედვით მიზანშეწონილია სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატში გვქონდეს დაჯგუფვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსების, შრომისა და სხვა პატარა ქვეგანაყოფები.

სახალხო მეურნეობის საბჭოების გამგებლობაში გადავა საპროექტო, სამეცნიერო, საცდელი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების უმრავლესობა, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა დაქვემდებარებაში.

მსხვილი მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ამოცანის გადაჭრასთან ერთად რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა გადაჭრან აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის მართვის გაუმჯობესების საკითხი.

ადგილობრივი მრეწველობის მართვა შეიძლება მთლიანად მოვაქციოთ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების ხელში. მთელ რიგ შემთხვევებში წმინდა ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოები ახლა იმყოფებიან რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების გამგებლობაში. ასეთი საწარმოები შეიძლება გადაცემულ იქნას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში. ადგილობრივი ორგანოების ხელში ადგილობრივი მრეწველობის მართვის თავმოყრა გაადიდებს მათს როლს მეურნეობის ხელმძღვანელობაში.

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოებს უფლება აქვთ მოისმინონ შესაბამისი ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეთა მოხსენებანი და ამრიგად მონაწილეობა მიიღონ მრეწველობისა და მშენებლობის განვითარების მართვაში თავისი რესპუბლიკის, ოლქისა თუ მხარის ტერიტორიაზე, აქტიური ზემოქმედება მოახდინონ სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების მსვლელობაზე. ამასთან მიზანშეუწონელი იქნებოდა ამჟამად მთლიანად დაგვექვემდებარებინა მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისადმი მხარეებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში, ვითვალისწინებთ რა ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობაში წარმოების მოცულობის ძნიშვნელოვან გადიდებას, აგრეთვე სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისადმი ხელმძღვანელობის დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მოსკოვიდან გაემგზავრა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაცია

28 მარტს საღამოს მოსკოვიდან კიევში გაემგზავრა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაცია. უკრაინის დედაქალაქიდან სტუმრები სამშობლოში დაბრუნდებიან.

კიევის ვაგზლისაკენ მიმავალი დედაქალაქის მაგისტრალები უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით იყო მორთული. ქუჩებში გაჭიმულია წითელი ქსოვილები წარწერით უნგრულ და რუსულ ენებზე: „გაუმარჯოს და განმტკიცდეს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა!“, „გაუმარჯოს უნგრელ ხალხს, რომელმაც დაიცვა სოციალიზმის საქმე!“.

კიევის ვაგზალში შეიკრიბა ასობით მოსკოველი.

აქ არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, უნგრეთის საელჩოს თანამშრომლები, უნგრელი ქალიშვილები და ჭაბუკები, მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის დელეგაციის გასაცილებლად ვაგზალში მოვიდნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

დელეგაციის მეთაურმა იანოშ კადარმა ნ. ა. ბულგანინთან ერთად ჩამოუარა საპატიო ყარაულის მწყობრს. შესრულებულ იქნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. იანოშ კადარი, იმტვან დობი და სხვა უნგრელი ამხანაგები ემშვიდობებიან გამცილებლებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ იანოშ კადარმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკდესი).

საკდესის განცხადება

ამ ბოლო დროს ისრაელის ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწის განცხადებებსა და საფრანგეთის პრესაში სულ უფრო ხშირია ლაპარაკი ისრაელის მხრივ ახალი აგრესიის მომზადებაზე ეგვიპტის წინააღმდეგ. ისრაელის სახელმწიფო მოღვაწეთა განცხადებანი შეიცავენ დაუფარავ მუქარას ეგვიპტის მიმართ. 19 მარტს ამერიკის ჟურნალმა „ნიუს უიკმა“ გამოაქვეყნა ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენ-ჰურიონის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ თუ დაკმაყოფილებულ არ იქნა ისრაელის მოთხოვნა აქაბის ყურეში ნაოსნობის პირობების შესახებ, „ისრაელი ომს დაიწყებს“. ისრაელის რადიომ გადასცა ბენ-ჰურიონის განცხადება პარლამენტში იმის შესახებ, რომ „თუ ღაზის ტერიტორიაზე სცადეს მდგომარეობის აღდგენა, რომელიც ოთხი თვის წინათ არსებობდა დაზავების შესახებ შეთანხმებათა საფუძველზე, ისრაელი მოითხოვს მოქმედების თავისუფლებას და შესაძლებლობას გამოიყენოს თავისი შეიარაღებული ძალები“.

ისრაელის სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც ამგვარი პროვოკაციული განცხადებებით გამოდიან, დემონსტრაციულად უგულებელყოფენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებებს, რომელმაც დაგმო ისრაელის მოქმედება და გამოვიდა ეგვიპტის სახელმწიფოს კანონიერ ეროვნულ უფლებათა დასაცავად. ამასთან ისინი არაორაზროვნად აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იკისრეს რაღაც გარანტიები ისრაელის წინაშე არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ. ლაპარაკია იმაზეც, რომ აღნიშნული გარანტიები მიცემულია ჯენტლმენური შეთანხმებით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანსა და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს შორის, რაც ეცნობა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს გი მოლეს და საგარეო საქმეთა მინისტრს პინოს.

თავის მხრივ, უცხოეთის პრესის ცნობების თანახმად, საფრანგეთის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა აგრეთვე აღუთქვეს ისრაელს, რომ საფრანგეთი შეასრულებს თავის დაპირებას მხარი დაუჭიროს ისრაელს, თუ იგი აგრესიას განაახლებს ეგვიპტის წინაღმდეგ. აღნიშნულია, რომ საჭიროების შემთხვევაში საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალები მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ეგვიპტის წინაღმდეგ თავდასხმაში და უზრუნველყონ ისრაელის ჯარების დაფარვა ჰაერიდან. ამასთან აშკარად აცხადებენ ღონისძიებებს, რომლებსაც საფრანგეთში იღებენ იმ მიზნით, რომ მოამზადონ საფრანგეთის მონაწილეობა ახალ აგრესიაში ეგვიპტის წინააღმდეგ.

ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ პრესის ცნობები ეგვიპტის წინააღმდეგ ახალი აგრესიისათვის საფრანგეთის მომზადების შესახებ არ უარუყვია საფრანგეთის მთავრობას.

ყველა ამ გარემოებას არ შეუძლია არ მიიპყროს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ყურადღება, რომელმაც გადაჭრით დაგმო ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ. ეს გარემოებანი მოწმობენ, რომ კოლონიზატორები და მათი ხელშემწყობნი განაგრძობენ ცეცხლთან თამაშს, რომ გრძელდება ცდები გამოიყენონ ისრაელი ახალი საშიში პროვოკაციის წამომწყებად ეგვიპტისა და არაბთა სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც იცავენ თავიანთ სუვერენიტეტს, თავიანთ კანონიერ უფლებებს.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში აცხადებენ, რომ საბჭოთა მთავრობა იყო და კვლავაც არის მტკიცე მოწინააღმდეგე ძალის გამოყენებისა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ, ისევე როგორც საერთოდ ძალის გამოყენებისა საერთაშორისო ურთიერთობაში. ეგვიპტის წინააღმდეგ ახალი აგრესიის გაჩაღება შექმნიდა საშიშ მდგომარეობას და ფართო სამხედრო კონფლიქტის პირდაპირ საფრთხეს მძიმე შედეგებით მშვიდობის საქმისათვის. სწორედ ამიტომ იმავე წრეებში გადაჭრით გმობენ პოზიციას, რომელიც დიაკავეს ისრაელის, აგრეთვე საფრანგეთის ექსტრემისტულმა წრეებმა, რომლებიც იმის ნაცვლად, რომ ხელი შეუწყონ ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში შექმნილი მდგომარეობის მშვიდობიან მოწესრიგებას, ხელოვნურად და განზრახ აღვივებენ ვნებათა ღელვას, დაძაბულს ხდიან ვითარებას, ამზადებენ ახალ საშიშ სამხედრო ავანტიურებს.

საბჭოთა დემოკრატიის ქვეყნების ჭრელა მოზვიერობა

ელნათურების ქარხანა

КИТАЙ

ამას წინათ პეკინში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ელნათურების ქარხანა. ქარხნის საამქროებში განსაკუთრებული სისუფთავე და სიწყნარეა. აქ სანატორიუმი გეგონებათ.

ნათურების დამზადებისას საჭიროა სულ სხვადასხვანაირი მასალები, მათ შორის სხვადასხვა გაზები, როგორიც არის წყალბადი, აზოტი და ა. შ. მუშებს, რომლებიც ამონტაჟებენ სულ პაწაწინა ელნათურებს, გამადიდებელი შუშის გამოყენება სჭირდებათ. ნათურაში რომ ჭუჭყი არ მოხვდეს, საამქროებში ხდება ჰაერის ფილტრაცია. მუშები იცვამენ თეთრ ხალათებს და ხელებზე იკეთებენ რეზინის ხელთათმანებს. მზა პროდუქციას კონტროლს უწევენ უზუსტესი ხელსაწყოებით, ცდიან სხვადასხვა ტემპერატურისა და რაყევის პირობებში.

ელნათურები წარმოადგენენ მთავარ ნაწილს უზუსტეს ელექტროხელსაწყოებში, როგორიც არის, მაგალითად, ისეთები, რომლებიც აუცილებელია წარმოების ავტომატიზაციისათვის, მანძილზე მანქანების მართვისათვის, ელექტრომრიცხველების დამზადებისათვის, ატომური ენერგიის გამოყენებისათვის და ა. შ. ჩვენს დროში უელნათურებოდ შეუძლებელია ცხოვრება. ამ მოკლე ხნის წინათ ჩვენ შეგვეძლო დაგვემზადებინა სულ რამდენიმე მეტად მარტივი სახის ასეთი ნათურები. ახლა კი პეკინის ქარხანაში ჩვენ ვაწარმოებთ ნათურების ათეულზე მეტ სახეობას, რომელთა შორის მეტად რთულიც არის. ახლო მომავალში იმ ელნათურების სახეობათა რაოდენობა, რომლებსაც ქარხანა ამზადებს, რამდენჯერმე გაიზრდება.

ჟურნალი „ჩინეთი“.
№ 1, 1957 წ.

სიახლე ჩვენს საამქროში

ЧЕХОСЛОВАКИЯ

... 1910 წელს ჩეხმა ავიატორმა ინჟინერმა იან კაშპარმა ბლერიოს ტიპის თვითმფრინავით იფრინა ორი კილომეტრი, ხოლო კიდევ ორი წლის შემდეგ მოახდინა უავარიო გადაფრენა პრაღიდან პარღუბიცეში, დაფარა რა 100 კილომეტრი მანძილი. ამ ხნიდან ავიაცია ჩეხოსლოვაკიაში სულ უფრო პოპულარული ხდება. ღიღმდე ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა რამდენიმე ქარხანა, რომლებიც უშვებენ სასპორტო, ტურისტულ, სატრანსპორტო და სამხედრო თვითმფრინავებს, რომელთაგან კერძოდ სასპორტო თვითმფრინავებმა ჩვენ არაერთი მსოფლიო რეკორდი მოგვიპოვეს. ჩეხოსლოვაკიის საავიაციო მრეწველობის უკანასკნელ ტექნიკურ მიღწევებს უნდა მიეკუთვნოს „გკ 2“ მარკის ავტოჟირი, რომელიც დემონსტრირებული იყო ჩეხოსლოვაკიის მანქანათმშენებლობის მეორე გამოფენაზე ბრნოში.

„გკ 2“ მარკის ავტოჟირი კომბინირებული კონსტრუქციის მსუბუქი ორადგილიანი აპარატია. მას აქვს ნახევრადღია კაბინაში ერთმანეთის გვერდით დადგმული ორი სადგომი და აღჭურვილია სამთვლიანი შასით. სამლაპატიან წამყვან ხრახნს და ორლაპატიან საკუდ ხრახნს ამოძრავებს „პრაღა დგ“ მარკის 80-ცხენისძალიანი ოთხცილინდრიანი ჰორიზონტალური მოტორი წუთში 3.000 ბრუნვით. საწვავის ხარჯი მინიმალურია — დაახლოებით 20 ლიტრი 100 კილომეტრზე. „გკ 2“ მარკის ავტოჟირი თავისი კატეგორიის ერთ-ერთი ყველაზე ეკონომიური აპარატია. თავისი საფრენოსნო თვისებით იგი მეტად გამოსადეგია იმისათვის, რომ პირველი გაწვრთნა მიიღონ ავტოჟირის პილოტებმა, მისი გამოყენება შეიძლება სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე მცირე ტვირთებისა და ფოსტის გადასაზიდად.

მისმა კონსტრუქტორმა ინჟინერმა იაროსლავ შლეტამ მთელ რიგ ტექნიკურ სიახლეებთან ერთად უზრუნველყო ამ აპარატის საუცხოო მართვა.

ავტოჟირის საცდელი ნიმუშის დროულად და ხარისხიანად დამზადებაში მონაწილეობა მიიღეს პრაღის საცდელ-საკვლევი საავიაციო ინსტიტუტის თანამშრომლებმა, რომელთა რაციონალიზატორულმა წინადადებებმა ხელი შეუწყო აპარატის საფრენოსნო თვისებების გაუმჯობესებას.

ახალი თვითმფრინავი როგორც მისი მშენებლების გონებრივი და ფიზიკური შრომის, ისე გამომცდელი პილოტის შემდგომი მუშაობის ნაყოფია. ასეთი გამომცდელი ამ შემთხვევაში იყო პილოტი ირეკ ბლაგა, რომელმაც გვიჩვენა, რომ სამართავი მექანიზმი საკმაოდ საიმედოა და მისი დაშვებისათვის საკმარისია რამდენიმე კვადრატული მეტრი მოედანი.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს თავიანთი ოსტატობა. მათ გვიჩვენეს, რომ შეუძლიათ აშენონ როგორც თვითმფრინავები, რომელთა სისწრაფე ბგერის სისწრაფეს უახლოვდება, ისე აპარატები, რომლებსაც შეუძლიათ მინიმალური სისწრაფით მოძრაობა და ჰაერში გაჩერებაც.

მ. ჩიჟეკი.

ჟურნალი „ჩეხოსლოვაკია“.
№ 1, 1957 წ.

გულგარეთი ტყვიას აწარმოებს

Новая БОЛГАРИЯ

ტყვიისა და თუთიის წარმოების გადიდება მეორე ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ამ ამოცანის განხორციელებაში ჩვენმა მეტალურგიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ — დეკემბრის დამლევს ამუშავდა ტყვიისა და თუთიის ქარხნის ტყვიის სექცია, დამთავრდა ქარხნის მშენებლობის მეორე ეტაპი.

ჩვენში წინათაც წარმოებდა ტყვიის მოპოვება, მაგრამ სხვა მასშტაბებით: პატარა შენობებში, პრიმიტიული მეთოდებით, დაბალი იყო შრომის ნაყოფიერება. ქარხნის ახალგახსნილი საამქროები აღჭურვილია უახლესი საბჭოთა ტექნიკითა და მოწყობილობით. ზოგიერთ მანქანასა და მექანიზმს კი ადგილობრივი ქარხნების მარკები აქვს.

ტყვიის სექციის პროექტები შედგენილ იქნა სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს საპროექტო განყოფილებაში. მშენებლობა და მონტაჟი განახორციელეს ბულგარელმა ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა საბჭოთა სპეციალისტების ხელმძღვანელობით. საბჭოთა კავშირში გაგზავნილმა კადრებმა შეისწავლეს ტყვიის რთული წარმოება.

ახლა ტყვიისა და თუთიის წარმოება კიდევ უფრო მჭიდროდ უკავშირდება როდოპის სამთამადნო აუზის გამამდიდრებელი ფაბრიკის წარმოებას. თუთიითა და ტყვიით მდიდარი კონცენტრატებისაგან სამამეული ფერადი მეტალურგიის პირმშო ქარხანა ამიერიდან რეგულარულად გამოუშვებს სუფთა ტყვიასა და თუთიას, კადმიუმსა და გოგირდმჟავას.

ტყვიის სექციის ამუშავების შემდეგ ქარხანა სახალხო მეურნეობის საჭიროებათათვის წელიწადში გამოუშვებს 10 ათას ტონა ტყვიას, 9.500 ტონა გოგირდმჟავას, 4.500 ტონა თუთიას, დიდი რაოდენობით კადმიუმს და ა. შ.

ჟურნალი „ახალი ბულგარეთი“. № 1, 1957 წ.

ავსტრიის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

ვენა, 28 მარტი. (საკდისი). დღეს ვენაში გაიხსნა ავსტრიის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა.

ყრილობას ესწრება 400-ზე მეტი დელეგატი ავსტრიის ყველა მხარიდან. აქ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ მუშათა მოძრაობის ვეტერანები, ფაშიზმის წინააღმდეგ უშიშარი მებრძოლები, ავსტრიის მშრომელთა ინტერესების მედგარი დამცველები.

ყრილობას ესწრებიან სტუმრები 18 ქვეყნის მომძე კომუნისტური და მუშათა პარტიებისაგან. სტუმრებს შორის არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელშიც შედიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბ. ნ. პონომარიოვი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომპარტიის ზაპოროჟიეს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. გაევოი.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფ. ჰონერმა, რომელიც მიესალმა ავსტრიის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობაზე ჩამოსულ მომძე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებს. დელეგატები ტაშით შეხვდნენ ცნობას, რომ ყრილობაზე ჩამოვიდნენ გერმანიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები. დელეგატებმა გულისწყრომა გამოთქვეს, როცა შეიტყეს, რომ ავსტრიის ხელისუფლებამ ავსტრიაში შემოსვლის ნება არ მისცეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დელეგაციას. კომპარტიის სახელით თავმჯდომარე მტკიცე პროტესტს აცხადებს ავსტრიის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ და ავსტრიელი კომუნისტების სოლიდარობას უცხადებს უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას.

ყრილობამ ერთხმად მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში:

ა) პოლიტიკური მდგომარეობა და პარტიის ბრძოლა — მომხსენებელი ი. კოპლენიგი.

ბ) ფინანსური ანგარიში — მომხსენებელი გ. ფრიცი.

გ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში — მომხსენებელი ფ. ფრაიჰაუტი.

2) „ავსტრიის გზა სოციალიზმისაკენ“ — მომხსენებელი ფ. ფიურნბერგი.

3) კომისიების მოხსენებანი.

4) ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური სარევიზიო კომისიისა და ცენტრალური პარტიული კომისიის არჩევნები.

მოღალატეობა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციებს შორის

ბელგრადი, 28 მარტი. (საკდისი). როგორც გაზეთი „ბორბა“ იუწყება, 20-დან 28 მარტამდე მიმდინარეობდა მოლაპარაკება საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა, რომელშიც შედიოდნენ ფ. ბიიუ, რ. გიუიო, ვალდეკ-როშე, პ. გიიონი და ჟ. ო�გა, და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას შორის, რომელშიც შედიოდნენ ე. კარდელი, პ. სტამბოლიჩი, ვ. ვლახოვიჩი, დ. რადოსავლევიჩი. და მ. ნეორიჩიჩი. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას მოლაპარაკება ჰქონდა აგრეთვე იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ი. ბროზ ტიტოსთან.

მოლაპარაკების მსვლელობაში, ნათქვამია მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ ერთობლივ დეკლარაციაში, მოხდა აზრთა ფართო და გულახდილი გაზიარება აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ. განხილულ იქნა საერთაშორისო მდგომარეობა, იუგოსლავიაში სოციალისტური მშენებლობის, საფრანგეთში მუშათა მოძრაობის განვითარების, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ურთიერთობის პრობლემები, აგრეთვე საერთოდ საერთაშორისო მოძრაობაში თანამშრომლობის პრობლემა.

როგორც აღნიშნულია დეკლარაციაში, მოლაპარაკებამ საფუძველი ჩაუყარა ორი პარტიის ნორმალური და ძმური ურთიერთობის აღდგენასა და განვითარებას.

ორივე დელეგაციამ აღნიშნა, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განვლილი 40 წლის მანძილზე სოციალიზმმა უდიდესი ისტორიული წარმატებანი მოიპოვა. სოციალიზმის იდეა სულ უფრო მეტ მომხრეს იძენს მთელ მსოფლიოში.

ორივე დელეგაცია ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის უდიდეს მნიშვნელობას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის, როგორც წვლილს მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეში და კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შორის და სოციალისტურ ქვეყნებს შორის თანამშრომლობისათვის თანასწორუფლებიანობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. ამ პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა კომუნისტურ პარტიებს შორის, აგრეთვე თანამშრომლობა სოციალისტურ ქვეყნებს შორის, რომლებიც დაკავშირებული არიან პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, მიზნების ერთობითა და ურთიერთ პატივისცემით, წარმოადგენს უდიდეს ძალას და დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის განმტკიცებისა და სოციალიზმის განვითარებისათვის.

შემდეგ ერთობლივ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საჭიროა თანამედროვე საერთაშორისო პირობებში გაძლიერდეს ბრძოლა მშვიდობისათვის, გაგრძელდეს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების პოლიტიკა. ორივე დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია მიიღოს შემდგომი ღონისძიებანი, რათა განიარაღების, სამხედრო მიზნებით ატომგულის ენერგიის წარმოებისა და გამოყენების აკრძალვის, ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის, დემოკრატიული განვითარების საფუძველზე და არა გერმანიის მილიტარიზმის გაძლიერების ბაზაზე გერმანიის გაერთიანების პრობლემის გადაჭრის საკითხების შესახებ, მოლაპარაკებაში გამონახოს გამოსავალი ჩიხიდან.

დელეგაციები მზარს უჭერენ ყველა ღონისძიებას, რომელთა მიზანია ალჟირის საკითხის სამართლიანი, მშვიდობისმოყვარული გადაჭრა.

დეკლარაციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საჭიროა ღონისძიებათა მიღება მშვიდობის უზრუნველსაყოფად ახლო და შუა აღმოსავლეთში. ამ მხრივ საჭიროა სიფხიზლე მშვიდობის მთელი ძალებისა, რომლებიც ეფექტიანად მოქმედებდნენ ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის დროს.

ორივე დელეგაცია მივიდა დასკვნამდე, რომ, მიუხედავად განსხვავებისა უნგრეთის ამბების გაგებაში, საჭიროა უნგრელი ხალხის, მშვიდობის შენარჩუნებისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის მხარი დაუჭირონ უნგრეთის რევოლუციურ მუშურ-გლეხურ მთავრობას ი. კადარის მეთაურობით და უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას.

შემდეგ დეკლარაციაში ლაპარაკია ორივე პარტიას შორის თანამშრომლობის გაფართოებაზე, რასაც „დადებითი მნიშვნელობა ექნება იუგოსლავიისა და საფრანგეთის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის“.

მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედების დათვალიერება

ხაზეიმოდ არის მორთული თბილისის 23-ე საშუალო სკოლის შენობა, სადაც გახსნილია პიონერთა და მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედების VII რესპუბლიკური გამოფენა.

სკოლის დიდ დარბაზში განლაგებულია სხვადასხვა ხელსაწყოები, მაკეტები, დეკორაციული ვაზები, საოჯახო მოწყობილობა.

ყველაზე დიდი კუთხე ფიზიკის სხვადასხვა დარგში შექმნილ ექსპონატებს უჭირავს. აქ არის უმარტივესი ხელსაწყოები, რომლითაც იწყებენ სკოლაში ფიზიკის კურსის შესწავლას. ყველა ეს ხელსაწყო თვით მოსწავლეთა ხელით არის შექმნილი.

მრავალი საინტერესო ექსპონატია წარმოდგენილი ელექტრობის კუთხეში. დამთვალიერებლები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს „შემდეგლებელ აპარატს“, „საბაგარო ვაგონს“ და სხვ.

— წლევანდელ გამოფენაზე, — ამბობს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ელექტროლაბორატორიის გამგე ა. ზაუტაშვილი, — ყველაზე კარგი ექსპონატები გამოგვიგზავნეს თბილისის, სამტრედიის, ხოხუმის სკოლებმა და პიონერთა სახლებმა.

დარბაზის შუაგულში დიდი მაგიდა დაუდგამთ. აქ აწყვია სხვადასხვა ტიპის გემების მაკეტები, ამწეები, რომლებიც დამზადებულია მოსწავლეების მიერ. სულ ამ კუთხეში 40-მდე ექსპონატია.

უნდა აღინიშნოს, რომ წელს გამოფენაზე დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი მხატვრულად შესრულებული მოდელები. აი თუნდაც ფუნიკულორის ელექტროფიცირებული მოქმედი მოდელი. ჩაირთვება თუ არა დენი, წარმოგიდგებათ ფუნიკულორის პლატო თავისი ტრამვაის გზით.

ბევრი დამთვალიერებელი შეკრებილა ელექტროფიცირებულ რკინიგზასთან. მის ავტორებს, 79-ე საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრის წევრებს ი. უმორშოდიანს, ფ. ბაბაჯანიანს, ი. ჰოვსეფიანს არც ერთი დეტალი არ გამორჩენიათ ნამდვილი რკინიგზის მსგავსი მოდელის შესაქმნელად.

არანაკლებ ინტერესს იჩენენ მოსწავლეები მოძრავი ექსკავატორის მოდელის დათვალიერებისას, რომელიც სტალინირის ნორჩ ტექნიკოსთა სახლის წრის წევრების მიერ არის დამზადებული.

...ჩაირთო დენი. საღამოა. ნელ-ნელა ბინდი ჩამოწვა. წყლის ძლიერ ნაკადს მოძრაობაში მოჰყავს ელექტროსადგური. აციმციმდნენ ცაზე ვარსკვლავები და სოფელში ილიჩის ნათურები. მალე დღის სინათლე შემოიპარა, ელექტრონათურები ჩაქრა. ეს საინტერესო და მხატვრულად გაფორმებული სოფლის ელექტროსადგურის მაკეტი ეკუთვნის თბილისის 25-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს ო. მენთაშვილსა და ნ. კოსმაჩევსკაიას. აქვე ყურადღებას იპყრობს ამავე სკოლის მოსწავლეების მიერ შექმნილი ელექტროფიცირებული მეხამრიდის მაკეტი. მასწავლებელი ი. დავთიანი დამთვალიერებლებს უხსნის მაკეტის მოქმედებას.



არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს ფოთის მე-2 საშუალო სკოლის ფიზიკის წრის წევრების თ. ბერაიას, რ. ჭყონიას, ი. კომახიძის, ვ. ჯიჭიძის მიერ შექმნილი წისქვილკომბინატის, ქარის ტუმბოს, სარწყავი მანქანის ელექტროფიცირებული მაკეტები, რომლებიც შესრულებულია დიდი ხელოვნებით, გემოვნებითა და ცოდნით. აქვე არიან მათი ავტორებიც. ისინი დამაჯერებელი კილოთი უხსნიან დამთვალიერებლებს მაკეტების მოქმედებას.

საინტერესო ექსპონატებია წარმოდგენილი ქიმიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ხელმარჯვეთა, მათემატიკის, მანქანათმშენებლობის განყოფილებებში. სულ აქ არის 2.000 ექსპონატი.

ყველა ეს ნამუშევარი მოწმობს, თუ როგორ იფართოებენ ყოველწლიურად ჩვენი მოსწავლეები ცოდნას ტექნიკის სხვადასხვა დარგში, როგორ იზრდება მათი გემოვნება და შემოქმედებითი ძიების უნარი.

ლ. ხუბულური.

* * *

სურათებზე: ზემოთ — მოსწავლეები ათვალიერებენ საზღვაო გემების მოდელების სტენდს. ქვემოთ — ფოთის მე-2 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე თენგიზ ბერაია (მარცხნიდან მესამე) მოსწავლეებს აცნობს წისქვილკომბინატის მოქმედ მოდელს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-15 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1957 წლის 24 მარტს ქალაქ ბალაშოვში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
060110	1—50	500	063978	1—50	200	067591	26*)	1.000	071989	05*)	1.000	076406	50*)	1.000
060113	35*)	1.000	064133	40*)	1.000	067665	18*)	1.000	072068	17*)	1.000	076486	40*)	1.000
060199	1—50	200	064148	48*)	1.000	067675	18*)	1.000	072086	03*)	10.000	076627	19*)	1.000
060264	1—50	500	064210	1—50	200	067781	1—50	200	072107	07*)	1.000	076632	07*)	1.000
060584	01*)	1.000	064263	49*)	1.000	067825	50*)	1.000	072185	1—50	500	076679	21*)	1.000
060641	25*)	1.000	064271	1—50	200	067837	33*)	1.000	072195	11*)	1.000	076882	1—50	500
060650	1—50	200	064360	23*)	1.000	067843	29*)	1.000	072371	1—50	500	077244	1—50	500
060783	07*)	1.000	064499	47*)	1.000	068007	09*)	1.000	072421	08*)	1.000	077305	1—50	200
060811	22*)	1.000	064538	02*)	1.000	068064	20*)	1.000	072589	1—50	200	077335	08*)	1.000
061177	30*)	1.000	064747	1—50	200	068182	1—50	200	072600	19*)	1.000	077370	41*)	1.000
061226	46*)	1.000	064748	1—50	500	068271	48*)	1.000	072641	17*)	1.000	077516	35*)	1.000
061274	19*)	5.000	064774	30*)	1.000	068470	26*)	1.000	072675	1—25	200	077522	1—50	200
061467	1—50	200	065210	1—50	500	068527	1—50	200	072914	20*)	1.000	077552	48*)	1.000
061478	13*)	1.000	065386	18*)	1.000	068886	26*)	1.000	072915	03*)	5.000	077607	38*)	1.000
061511	03*)	25.000	065415	24*)	50.000	069200	15*)	1.000	073182	16*)	5.000	077613	1—50	500
061549	1—50	200	065708	49*)	5.000	069251	1—50	200	073533	37*)	1.000	077726	1—50	500
061837	48*)	1.000	065764	26*)	1.000	069401	1—50	200	073599	07*)	1.000	077750	1—50	200
061934	1—50	200	065848	06*)	1.000	069726	33*)	1.000	073629	15*)	1.000	077899	08*)	1.000
061983	40*)	1.000	065967	15*)	1.000	069887	50*)	1.000	073696	1—50	500	078244	10*)	1.000
062041	35*)	5.000	065989	32*)	1.000	069963	37*)	1.000	073974	1—50	200	078331	26*)	1.000
062146	43*)	1.000	066142	13*)	1.000	070021	1—50	500	074101	11*)	1.000	078696	1—50	500
062318	1—50	200	066189	49*)	1.000	070102	06*)	1.000	074399	01*)	1.000	078800	1—50	500
062331	1—50	200	066276	1—50	200	070838	08*)	1.000	074411	09*)	5.000	078881	48*)	1.000
062396	16*)	1.000	066495	41*)	1.000	070839	1—50	500	074562	10*)	1.000	079349	45*)	5.000
062404	1—50	200	066602	1—50	500	070853	02*)	1.000	074582	44*)	10.000	079354	12*)	10.000
062466	31*)	1.000	066611	31*)	1.000	070902	47*)	1.000	074643	19*)	1.000	079427	1—50	500
062595	35*)	1.000	066944	1—50	500	071049	41*)	1.000	075240	11*)	1.000	079434	15*)	1.000
062651	27*)	1.000	066945	12*)	25.000	071154	08*)	1.000	075412	05*)	10.000	079463	1—50	200
062665	04*)	1.000	066975	1—50	500	071453	32*)	5.000	075688	1—50	200	079535	02*)	1.000
063122	1—50	200	067037	1—50	200	071548	05*)	1.000	075740	40*)	10.000	079752	18*)	1.000
063212	09*)	1.000	067226	24*)	1.000	071583	05*)	1.000	075854	05*)	1.000	079753	30*)	1.000
063649	01*)	1.000	067381	1—50	200	071847	11*)	1.000	076114	1—50	500	079841	09*)	1.000
063732	05*)	1.000	067508	40*)	1.000	071928	01*)	5.000	076316	46*)	5.000	079884	1—50	200
063852	37*)	1.000	067513	21*)	1.000	071973	20*)	1.000						

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ბალაშოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ს. ბორისენკო.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ნ. ვ. კუზნეცოვა.

ღღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ქეთო და კოტე (დილას), იოლანტა და გეინე-ვაგნერის კონცერტი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — შემოდგომის აზნაურები (დილას), ტარიელ გოლუა (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი (დილას), სამი ბულბულის ქუჩა № 17 (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ფილუმენა მარტურანო (დილას), ვაი ჭკუისაგან (საღამოს), **სომხური დრამის** — მკვდრეთით აღდგომა (დილას), დედინაცვალი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — დალი (დილას), საყვარელი დისშვილი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — აჩაკუნე (აბონემენტი № 22, 11 ს. და აბონემენტი № 25, 5 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — განძთა კუნძული (10 ს.), ორი ნეკერჩხალი (3 ს. 30 წ.), **თოჯინების ქართული** — თოვლის პაპა (12 ს.), ნატვრის თვალი (3 ს.), **ფილარმონია** — საესტრადო მიმოხილვა (საზამთრო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, 26 კომისრის სახელობის, ოქტომბერი, კიროვის სახელობის პარკი — ჩვეულებრივი ადამიანი, სპარტაკი, კომკავშირელი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი, საქართველო (წითელი დარბაზი) — მირზა გალიბი, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი**, კოლმეურნე, **კომუნარების ბაღი**, **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — ორი ოკეანის საიდუმლოება, ისანი, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — მის მენდი, **კოლხიდა, დიდუბე, ოფიცერთა სახლი** — მეჯოგის სიმღერა, **თბილისი** — ლედი ჰამილტონი.

სამტრესტის მუშაკთა კოლექტივი იუწყება სოციალისტური შრომის გმირის ვანო ერმალოს-ძე ჩარკვიანის გარდაცვალებას.

ტელეგადაცემათა პროგრამა 30 მარტისათვის

20.00 — კინონარკვევი „ცეცხლთან თამაში“. 20.10 — „ზეპირი მოთხრობები“. ი. ანდრონიკაშვილის გამოსვლა. 20.40 — მხატვრული ფილმი „ჩრდილი და სინათლე“ (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის სურათის ნახვა არ არის მიზანშეწონილი).

მეუღლე ნიკოლოზ, შვილი მერი; პეტრე, დიმიტრი გიორგაძეები, ო. კორაიდი, ანესტი, მაგდალინა, ომირე კარსლიდები ოჯახებით იუწყებიან

ანგელინა თევდორეს ასულ კარსლიდი-გიორგაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-III, 8 ს. გამოსვენება 31-III, 4 ს. რეზერვუარის ქ. № 5 (ლენინის რ.).

შვილი ილარიონ, რძალი ნინო, სიძეები გ. ჩაჩხიანი, ნ. ბაქრაძე; შოთა, ლევან, ალექსანდრე ტალახაძეები ოჯახებით იუწყებიან

მატრონა ეფრემის ასულ ტალახაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-III, 8 ს. გამოსვენება 31-III, 4 ს. მახარაძის ქ. № 11.

დიმიტრი, გურამ ბაქრაძეები, სოფიო სოხაძე იუწყებიან

ეკატერინე მალაქიას ასულ ბაქრაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-III, 8 ს. გამოსვენება 31-III, 3 ს. ჯავახიშვილის ქ. № 15.

მეუღლე პლატონ, შვილი შურა, ძმა ა. გაგოშიძე, სიძე გ. მცხვეთაძე, რძლები ელენე, ბაბილინა ოჯახებით იუწყებიან

ალექსანდრა პეტრეს ასულ მიქიაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-III, 8 ს. გამოსვენება 31-III, 3 ს. კალინინის ქ. № 38.

ძმა სერაპიონ, დები მაშო, ივლიტა, ანა, ნინო თვალავაძეები ოჯახებით იუწყებიან

პილაგია ისაკის ასულ თვალავაძე-გიგინეიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 30-III, 4 ს. ნაფარეულის ქ. № 11.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება იუწყება, რომ ბეთჰოვენის გარდაცვალების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელიც უნდა შემდგარიყო ა. წ. 30 მარტს კონსერვატორიის დიდ დარბაზში, გადატანილია ა. წ. 1 აპრილისათვის.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება.

შვილები ტანია, ევგენია, გუგუ, რძალი ემა, სიძეები შ. ჭითავა, ჯ. ანთელიძე ოჯახებით იუწყებიან

მაშო ანდრიას ასულ მენაბდის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-III, 8 ს. გამოსვენება 31-III, 2 ს. ჯაფარიძის ქ. № 13.

მეუღლე საშა, შვილი ეთერ, სიძე თ. ბასილია; ეკატერინე, თამარ, შოთა, ბელა ჩიგოგიძეები ოჯახებით იუწყებიან

**მიხეილ ექვ